

აქციის დანართი N ---

ქ. _____

_____ 2017 წელი

აბონენტი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ნომერი, ელ. ფოსტა):

ადასტურებს, რომ ეთანხმება ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:

· „აქციის“ დასახელება: " ცხელი შეთავაზება - 100 მბ/წმ ინტერნეტ სიჩქარე 3 ლარად "

· აქციის პირობები:

1. წინამდებარე აქციის ფარგლებში (შემდგომში "აქცია") "სილქნეტის" ოპტიკური (GPON) ინტერნეტ მომსახურების (ან მომსახურებ(ებ)ის ნებისმიერი კომბინაციის, რომელიც მოიცავს აღნიშნულ მომსახურებას) მიმღები აბონენტები შეძლებენ 3 (სამი) ლარად გააქტიურონ 100 მბ/წმ სიჩქარე, აქციაში ჩართვის დღის შესაბამისი თვის ბოლომდე.
2. აქცია ვრცელდება შემდეგი მომსახურებების / მომსახურებების კომბინაცი(ებ)ის მიმღებ აბონენტებზე:
 - 2.1. აბონენტები, რომლებიც სარგებლობენ ცალკე მდგომი ოპტიკური ინტერნეტ მომსახურებით, ან ერთდროულად ოპტიკურ ინტერნეტ მომსახურებითა და სილქფონით (ერთ სააბონენტო ანგარიშზე), ან S1 სამმაგი შეთავაზებით.
 - 2.2. აბონენტები, რომლებიც სარგებლობენ ოპტიკური ორმაგი შეთავაზებით (ინტერნეტი და სილქ ტვ ერთად), სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზებით, ან ერთ სააბონენტო ანგარიშზე ერთდროულად სამი მომსახურებით (რომელიც მოიცავს ინტერნეტს).
3. აქციის პირობები ვრცელდება შემდეგ სააბონენტო პაკეტებზე: ოპტიკური ინტერნეტ მომსახურების (ან მომსახურებების კომბინაციის/სპეციალური შეთავაზების, რომელიც მოიცავს ოპტიკურ ინტერნეტს) პაკეტებზე "სტარტი", "სტარტ +", "დრაივ" და "dream".
4. აქციის პირობები არ ვრცელდება პაკეტზე "ფორმულა 1", ან სპეციალურ შეთავაზებებზე, რომელიც მოიცავს პაკეტს "ფორმულა 1". ამასთან, არ იზღუდება აქციასთან შეუსაბამო პაკეტის აქციასთან თავსებადი პაკეტით ცვლილების შემდეგ აქციის გააქტიურების შესაძლებლობა (აქციისთვის დადგენილ ვადებში).
5. აქციის რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრება აქციის ამოქმედების დღიდან **48 საათიანი ვადით**.
6. აქციის მოქმედების ვადა განისაზღვრება აქციის გააქტიურებიდან (გააქტიურების დღის) შესაბამისი **კალენდარული თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით**, მიუხედავად იმისა, თუ როდის მოხდა აქციაზე რეგისტრაცია მე-5 პუნქტით განსაზღვრული 48 საათიანი სარეგისტრაციო ვადის განმავლობაში.
7. აქციის აქტივაციის ღირებულების დარიცხვა განხორციელდება ერთჯერადად, აქციის გააქტიურებისთანავე. აქციის აქტივაციის ღირებულება განისაზღვრება **3 (სამი) ლარის ოდენობით**.
8. აქციის ფარგლებში აბონენტებს გაუაქტიურდებათ **100 მბ/წმ სიჩქარე**.
9. აქციის ფარგლებში გააქტიურებული ინტერნეტ სიჩქარე განსაზღვრულია აქციაში ჩართული მომსახურების შესაბამის სააბონენტო ანგარიშის ნომერზე არსებული ყველა ოპტიკური მომსახურებისთვის.
10. აქციის მოქმედების ვადის (მე-6 პუნქტი) ამოწურვის შემდეგ, აბონენტს ოპტიკურ ინტერნეტზე გაუაქტიურდება მის სააბონენტო ანგარიშზე გააქტიურებული ინტერნეტ პაკეტით გათვალისწინებული სტანდარული სიჩქარე.
11. აბონენტს უფლება აქვს, აქციის მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს განაცხადოს უარი აქციის პირობით სარგებლობაზე.

12. აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება მომსახურებ(ებ)ების დროებით შეჩერების შესაძლებლობა. დროებით შეჩერების შემთხვევაში აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა არ წყდება და არ ექვემდებარება ცვლილებას.
13. აქციის მოქმედების პერიოდში, აქციაში ჩართული აბონენტის მიერ ინტერნეტ მომსახურების სააბონენტო პაკეტის, აქციასთან თავსებადი სხვა პაკეტით ცვლილებისას, აბონენტს არ შეუზღუდება აქციის პირობები. თუ ინტერნეტ მომსახურების სააბონენტო პაკეტის ცვლილებისას აბონენტი გადავა აქციასთან არათავსებად სააბონენტო პაკეტზე, გაუქმდება აქციის პირობებით სარგებლობის უფლება. ამასთან, აღნიშნული ცვლილების განხორციელების შემდეგ, კვლავ აქციასთან თავსებად პაკეტზე გადასვლის შემთხვევაში, აბონენტი შეძლებს გაიაქტიუროს წინამდებარე აქციით გათვალისწინებული პირობები, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მომენტისთვის არ არის დასრულებული აქციაზე რეგისტრაციის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვადა.
14. იმ შემთხვევაში, თუ აქციაზე რეგისტრაციის პერიოდში აბონენტი (რომელიც არ სარგებლობს აქციის პირობებით) აქციასთან არათავსებად პაკეტს შეცვლის აქციასთან თავსებადი პაკეტით, აბონენტი შეძლებს გაიაქტიუროს წინამდებარე აქციით გათვალისწინებული პირობები, მე-5. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში.
15. აქციის მოქმედების პერიოდში, აქციის პირობებით მოსარგებლე ინტერნეტ აბონენტებისთვის შეზღუდულია მომსახურების პორტალის (my.silknet.com) საშუალებით სააბონენტო პაკეტის ცვლილებს შესაძლებლობა.
16. მისამართის ცვლილებისას, აქციაში ჩართულ აბონენტს, ცვლილებადე არსებულ მისამართზე გააქტიურებული აქციის პირობები ახალ მისამართზე არ გადაყვება.
17. იმისათვის, რომ ახალ მისამართზე აბონენტმა ისარგებლოს აქციის პირობებით, მომსახურების ინსტალაცია უნდა განხორციელდეს მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, ამასთან, აბონენტმა მომსახურების ახალ მისამართზე ინსტალაციის შემდეგ მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში თავიდან უნდა დააფიქსიროს სურვილი აქციის პირობებით სარგებლობაზე.

შენიშვნა: _____

მხარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი _____

აბონენტი _____